

შპს „პირამიდა x+1“

(ს/ნ 200264506)

2018 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლის
ინდივიდუალური საერთო დანიშნულების

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი:

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
ამონაგების აღიარება.....	5
სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.....	5
მოგების გადასახადი.....	5
ძირითადი საშუალებები.....	5
არამატერიალური აქტივები.....	6
აქტივების გაუფასურება.....	6
იჯარა.....	6
მარაგები.....	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	6
სავაჭრო ვალდებულებები.....	6
ბანკის სესხები და ოვერდრაფტები.....	6
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები.....	6
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.....	7
3. განმარტებითი შენიშვნები:.....	7
შენიშვნა №1 - ამონაგები.....	7
შენიშვნა №2 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	7
შენიშვნა №3 - ფინანსური შემოსავლები და ფინანსური ხარჯები.....	7
შენიშვნა №4 - სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.....	7
შენიშვნა №5 - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	8
შენიშვნა №6 - მარაგები.....	8
შენიშვნა №7 - ძირითადი საშუალებები.....	9
შენიშვნა №8 - არამატერიალური აქტივები.....	9
შენიშვნა №9 - სესხები/ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	9
ჩვეულებრივი იჯარა.....	10
ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.....	10
აქტივების გაუფასურება.....	10

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
შპს „პირამიდა X+1“



2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე)

	შენიშვნა	2018 წ
ამონაგები	1	2 435 102
კომერციული ხარჯი		-573 333
საერთო მოგება		1 861 769
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2	-2 189 955
სხვა საოპერაციო შემოსავლები		0
სხვა საოპერაციო ხარჯები		-0
საოპერაციო მოგება		-328 226
ფინანსური შემოსავლები	3	
ფინანსური ხარჯები	3	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	4	
მოგება დაბეგვრამდე		-328 226
მოგების გადასახადი		-9 685
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		-337 871
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		301 178
გაცემული დივიდენდები	171 599	
გაუნაწილებელი მოგების შემცირება	269 901	
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		-140 332

შენიშვნა : ზემოთ წარმოდგენილი ფორმატით დემონსტრირებულია ხარჯების აგრეგირება ფუნქციების მიხედვით (რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, ადმინისტრაციული ხარჯები, ფინანსური ხარჯები და ა.შ). ვინაიდან წლის განმავლობაში კომპანიის საკუთარ კაპიტალში ცვლილება განაპირობა მოგებამ ან ზარალმა და დამფუძნებლებზე დარიცხულმა დივიდენდებმა, საწარმომ გადაწყვიტა სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ერთი ანგარიშგების წარდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ცალკე-ცალკე წარდგენის ნაცვლად.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 25 სექტემბერს.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „პირამიდა X+1“

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის.

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე)

	შენიშვნა	31.დეკ.18	31.დეკ.17
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	154 407	833 668
მარაგები	6	320 657	33 990
გაცემული ავანსები		140 439	25 513
სავაჭრო მოთხოვნები		33 652	254 774
სხვა მიმდინარე აქტივები		264	151
სულ მიმდინარე აქტივები		649 419	1 148 096
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	158 014	94 826
არამატერიალური აქტივები	8	2 552	2 552
ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შესვლამდე			
სულ გრძელვადიანი აქტივები		160 566	97 378
სულ აქტივები		809 985	1 245 474
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები			
საგადასახადო ვალდებულებები		-65 598	8 019
გადავადებული შემოსავალი		715 905	886 277
სავაჭრო ვალდებულებები		50 000	50 000
სესხები	9		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		700 307	944 296
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		250 000	0
სულ ვალდებულებები		950 307	944 296
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		-140 322	301 178
სულ კაპიტალი		-140 322	301 178
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		809 985	1 245 474

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 25 სექტემბერს.



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს „პირამიდა X+1“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „პირამიდა X+1“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია-----, მისი ძირითადი საქმიანობაა ----- . კომპანიას არ გააჩნია მშობელი, შვილობილი და მეკავშირე კომპანიები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე. ვინაიდან კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი, შპს „პირამიდა X+1“ სარგებლობს საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „სარეკომენდაციო მითითებით მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/მომსახურება და გადაეცემა საკუთრების უფლება ან შესრულდება მომსახურება. ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით დღეს-გარეშე.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. შესაბამისად არ გააჩნია ბალანსზე გადავადებული გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ხარჯს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხავად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა ნაგებობები - 5 %

ავტომანქანები - 20%

საოფისე ტექნიკა - 20 %

საოფისე ავეჯი - 20%

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას,

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური აქტივის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქტის რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

კომპანიაში არ არის ფინანსური იჯარის ოპერაციები. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი და მისაღები საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგები აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.


ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას სარგებლს საბანკო სესხით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი გასამრჯელო) ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი გასამრჯელოს გადახდები.



ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით (ქართული ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით). უცხოური ვალუტის გადაყვანით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში

3. განმარტებითი შენიშვნები:

შენიშვნა №1 - ამონაგები

საქონლის გაყიდვა	მომსახურება	სულ ამონაგები:
ლარი	ლარი	ლარი
2018 წელი	2 435 102	2 435 102

შენიშვნა №2 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგი ხარჯებისაგან

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2018წ
	ლარი
რეალიზებული მსოფლიო მსოფლიო	1 033 057
კომპერციული ხარჯი	573 333
შრომის ანაზღაურება	678 122
ცვეთა და ამორტიზაცია	
იჯარა	33 019
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	445 757
სულ:	2 762 288

შენიშვნა №3 - ფინანსური შემოსავლები და ფინანსური ხარჯები

ფინანსური ხარჯი და ფინანსური შემოსავალი ასეთის არსებობის შემთხვევაში წარმოადგენს დამფუძნებლებისგან მიღებულ უპროცენტო სესხზე საგადასახადო მიზნებისთვის დარიცხულ 20% -იანი საპროცენტო ხარჯისა და საპროცენტო შემოსავლის თანხას.

შენიშვნა №4 - სხვა არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი



სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი სხვასთან ერთად მოიცავს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების შემოსავალსა და ხარჯებს.

შენიშვნა N5 - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	01.იან.18	31.დეკ.18
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	833 668	154 407
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	0
სულ :	833 668	154 407

ფულადი სახსრების მოძრაობა

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2018 წელს	3 504 228
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	2018 წელს	-4 183 489
წმინდა ფულის კლება	2018 წელს	-679 261
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში		833 668
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს		154 407

შენიშვნა N6 - მარაგები

	მარაგები	სხვა მარაგები	სულ:
	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 1 იანვარი 2018	33 990	0	33 990
შეძენა	1 319 723		1 319 723
დაბრუნება			
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღრებულება	-1 033 056		-1 033 056
ჩამოწერა			
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	320 657		320 657



შენიშვნა №7 - ძირითადი საშუალებები

მიწები	შენიშვნა- ნაგებობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ინვენტარი	სატრანს. საშუალ.	ძირ. საშ. ექსპ. შესვლამდ ე	სულ
ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი		
თვითღირებულება 1 იანვარი 2018		94 826				94 826
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2018						
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2018		94 826				94 826
შემოსვლა		63 188				63 188
გასვლა						
ცვეთის ხარჯი						
დაგროვილი ცვეთა გაყიდვებზე						
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018		158 014				158 014
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2018		158 014				158 014
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018						

შენიშვნა №8 - არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა
	ლარი
თვითღირებულება 1 იანვარი 2018	2 552
დაგროვილი ამორტიზაცია 1 იანვარი 2018	
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2018	2 552
შემოსვლა	
გასვლა	
ამორტიზაციის ხარჯი	
დაგროვილი ამორტიზაცია გაყიდვებზე	
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	2 552
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2018	2 552
დაგროვილი ამორტიზაცია 31 დეკემბერი 2018	

შენიშვნა №9 - სესხები/ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია სასესხო ვალდებულებები. მოკლევადიან სესხი 50 000 ლარი და გრძელვადიანი სესხი 250 000 ლარი.



	2018 წელი
	ლარი
ვალდებულების ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	50 000
სესხის აღება	250 000
ვალდებულების ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	300 000

ჩვეულებრივი იჯარა

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე და სასაწყობო ფართები. ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე 2018 წელს აღირებულია ხარჯად და შეადგენს 33 019 ლარს.

ასევე კომპანიას ქვეიჯარით გაცემული არ აქვს საოფისე ან სხვა ფართის ნაწილი.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ გააჩნია ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.

აქტივების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიაში აქტივების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი

